

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 250
1994 წლის 30 დეკემბერი
ქ. თბილისი

ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა
სოციალური მოწყობის ზოგიერთი საკითხის შემახებ

ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ზოგიერთი განსაკუთრებით მწვავე საყოფაცხოვრებო საკითხის მოწესრიგების მიზნით:

1. საქართველოს საერთაშორისო ჰუმანური დახმარების კოორდინაციის ბიუროს საბჭომ:

-საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის და პროკურატურის ძალების დახმარებით შეისწავლოს აღნიშნული დახმარების მიღების, ტრანსპორტირების, დაბინავებისა და, რაც მთავარია, განაწილების საკითხები;

-პრინციპული შეფასება მისცეს და მკაცრი მსჯელობის საგნად გახადოს ამ საქმეში გამოვლენილი ყოველგვარი დარღვევა;

შემოწმების შედეგები მოსმენილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე 1995 წლის იანვარში.

2. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ:

-განიხილოს და გადაწყვიტოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სხვადასხვა სახის მომსახურების შედეგად რიგ მომსახურე ორგანიზაციასა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში წარმოქმნილ ფულად დავალიანებათა დაფარვის საკითხი;

დადებითად გადაწყვიტოს მომსახურე იძულებით გადაადგილებულ პირთა პითათვის ხელფასისა და ფულადი დიხმარების ერთდროულად გაცემის საკითხი.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

-საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატასთან ერთად ერთდროულად შეამოწმოს იძულებით გადაადგილებულ პირთა მასობრივი ჩასახლების ადგილებში ამ პირთა ორგანიზაციული კვების საქმეში სახელმწიფოებრივი წესრიგის დაცვის საკითხი; -განიხილოს დალის ხეობის მცხოვრებთა დახმარების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საკითხი.

4. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ინტენსიურად გაშალოს თავისი საქმიანობა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნების ჰუმანური დახმარების მასშტაბების გაფართოებისათვის.

ე. შევარდნაძე